პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 მარტი, კვირა, 1989 წ.
№ 49 (9968) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ფეხბურთის მობრძანებას მუდამ ახლავს თან ზეიმურობა და ამაღლებული განწყობა. მაგრამ ინტერესი სეზონის პირველი მატჩისადმი უფრო ღრმავდება. თუკი ჩემპიონატის გახსნას წინ უსწრებს კარგად მოფიქრებული კულტურულ-სპორტული სანახაობა და სხვა ძმიზიდველი ღონისძიებები.

თამამად შეიძლება ითქვას, გუშინ ნამდვილად დიდი საფეხბურთო დღე იყო თბილისში. მხოლოდ კიევისა და თბილისის თანაკლუბელთა ძირითადი შემადგენლობის მატჩი არ გვაქვს მხედველობაში. ამ დღეს ხომ თბილისში შესანიშნავად ორგანიზებული მინიფეხბურთელთა საერთაშორისო ფესტივალი დამთავრდა, გუშინვე შედგა კიევისა და თბილისის საფეხბურთო კლუბების დუბლიორთა ძატჩი, ძეორე ფეხბურთის მოყვარულებმა ჩვენს მთავარ სტადიონს მიაშურეს, სადაც პირველად მოეწყო აუქციონი — სპორტის მოყვარულებს გამოჩენილ დინამოელ სპორტსმენთა სპორტული რელიქვიების შეძენის შესაძლებლობა მიეცათ. შემდეგ ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალის დროც დადგა, იგი დაამშვენა საინტერესო სპორტულ-თეატრალიზებულმა სანახაობამ.

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ, რომლის უშუალო თაოსნობითაც ჩატარდა ეს მართლაც გემოვნებიანი ორგანიზებული ზეიმი, შესაძლებლობა მოგვცა ვთქვათ — თურმე შეგვძლებია!

თბილისისა და კიევის გუნდების კაპიტნებმა საზეიმო ვითარებაში აღმართეს ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის ალამი.

ჩემპიონატის პირველი მატჩის წინ მაყურებლებმა მხურვალე ტაშით გააცილეს მწვანე მინდვრიდან სპორტის დამსახურებული ოსტატები რამაზ შენგელია და თენგიზ სულაქველიძე, რომლებმაც ასე ბევრი გააკეთეს ჩვენი ფეხბურთისთვის.

იხ. მე-3 გვ.

სურათებზე: კაპიტნები აღმართავენ ალამს; თ. სულაქველიძისა და რ. შენგელიას გაცილება.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროში

გამოცდები და ჩათვლები ფიზიკურ კულტურაში

სახალხო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ერთიანი სისტემა სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელების, მოსწავლეებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის უზრუნველსაყოფად. მართალია, ამ სისტემაში ზოგიერთი მოთხოვნა მკაცრიც შეიძლება იყოს (მხედველობაში გვაქვს გამოცდები და ჩათვლები), მაგრამ ეს გარდაუვალი აუცილებლობითაა გამოწვეული და საჭიროდ მიგვაჩნია დარჩეს, ვიდრე არ შეიცვლება საერთო აზროვნება და დამოკიდებულება ფიზიკური კულტურის საკითხების მიმართ.

არ დავმალავთ, ბევრი ოპონენტი ჰყავდა და ჰყავს სკოლამდელი დაწესებულებების გამოსაშვებ ჯგუფებში, სასკოლო დაწესებულებების IX-XI კლასებში გამოცდების, ზბიტურიენტებისათვის ფიზიკურ აღზრდაში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში ჩათვლების შემოღებას. ოპონენტთა შორის გამოჩნდა ზოგიერთი მეცნიერიც, მაგრამ განა ასეთმა „მეცნიერულმა“ პოზიციამ და მიდგომამ არ მიგვიყვანა ახალგაზრდობის ჯანმრთელობის მდგომარეობის საგანგაშო გაუარესებამდე?

სასწავლო დაწესებულებები მაქსიმალურად იძლევა საჭირო უნარ-ჩვევებს ფიზიკურ აღზრდაში, ოჯახი სასწავლებლებთან ერთობლივად უზრუნველყოფს მოზარდთა ფიზიკურ სრულყოფას. ფიზიკური აღზრდა უნდა გახდეს ნორმა ჩვენი რესპუბლიკის თითოეული ოჯახისათვის — ასეთია სადღეისო მოთხოვნა, ასეთია რესპუბლიკის სახალხო განათლების მტკიცე პოზიცია.

მაშ ასე, სახალხო განათლების სამინისტრო ემზადება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფტექნიკური, საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სამავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების IX-XI კლასებში გამოცდების, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის ჩათვლების მაღალორგანიზებულ დონეზე ჩასატარებლად.

მურთაზ მნათობიშვილი,
საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის სამმართველოს უფროსი.

დებულება

მისაღები გამოცდების წინ ფიზიკური მომზადების შეფასების ჩათვლის სისტემის შესახებ

ფიზიკური მომზადების შეფასების ჩათვლები ტარდება რესპუბლიკის ყველა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წინ.

ჩათვლებს აბარებს დღის დასწრებული სწავლების ყველა მსურველი გარდა რესპუბლიკისა და საკავშირო ნაკრები გუნდების სპორტსმენებისა, ახალგაზრდებისა, რომლებსაც სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის დროს შეერყათ ჯანმრთელობა და სამედიცინო დასკვნით განთავისუფლებული ახალგაზრდებისა.

ჩათვლები დაიწყება სასწავლებლების მიხედვით მისაღები გამოცდების წინ ერთი თვით ადრე.

ყველა სადავო საკითხს გადაწყვეტს სამინისტროსთან შექმნილი მთავარი კომისია, კონკრეტული მდგომარეობის გათვალისწინებით.

ნორმატივები ტარდება სპორტის ხუთი სახეობიდან სამში, შერჩევით. ორ სახეობაში 9 ან 10 ქულის მიღების შემთხვევაში ჩამბარებელი თავისუფლდება მესამე ნორმატივისაგან.

ნორმატივების ჩასაბარებლად ახალგაზრდა ცხადდება სპორტული ფორმით, თან უნდა იქონიოს პასპორტი და ჯანმრთელობის ცნობა ფორმა № 086-უ, ნორმატივის ჩაბარების შემდგომ ჯანმრთელობის ცნობა, ჩათვლის ბარათთან ერთად ეძლევა აბიტურიენტს სასწავლებელში საბუთების შესატანად.

სწავლის გაგრძელების მსურველთ, რომლებიც ჩააბარებენ ნორმატივებს, ჩათვლის ბარათში ჩაეწერებათ „ჩაეთვალა“; ვინც ვერ შესძლებს ნორმატივების ჩაბარებას — „მონაწილეობა მიიღო“; ვინც ექიმის მიერ ჯანმრთელობის ცნობის საფუძველზე დაშვებული არ იქნება ნორმატივების ჩასაბარებლად — „განთავისუფლებულია“. ჩათვლისაგან განთავისუფლებისა და ჩათვლის მიუღებლობის მიუხედავად, აბიტურიენტებს შეუძლიათ საბუთები შეიტანონ უმაღლეს სასწავლებელში.

ნორმატივების ჩაბარების მსურველთ ნება ეძლევათ ნორმატივები ერთხელ ჩააბარონ და ორჯერ გადააბარონ. გადაბარების მსურველთ უარყოფითი შედეგი ბარათში არ შეეტანებათ, ბარათში აღინიშნება მხოლოდ ცდის რაოდენობა.

ნორმატივები იხ. მე-2 გვ.



აფხაზეთში მუდამ დიდი გულისყურით ეპყრობოდნენ ცხენოსნობის განვითარებას. დღესაც ამ რეგიონს მოწინავე პოზიცია უკავია მთელს საქართველოში. სურათზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ, სამეიდში ხაველე გამოცდისას გუდაუთელი მხედარი ა. სამველიანია აღბეჭდილი თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე. აქ ამ დღეებში მიმდინარეობს ამიერკავკასიის ზონალური შეჯიბრება ცხენოსნობის ოლიმპიურ სახეობებში. ასპარეზობაში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობენ.

კახაბერ წაქაძე მესამე ადგილზე

ბრატისლავა. „დინამოს“ კოლექტივების XI სპარტაკიადაზე მოთხილამურე ქალთა რბოლა 5 კილომეტრზე ანტონინა ორდინამ მოიგო — 14.17,1. ვაჟებში 15 კილომეტრიან დისტანციაზე უძლიერესი მაქსიმ კოზლოვი იყო — 39.29,8.

დიდი ტრამპლინიდან ხტომაში ადგილები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: რენე კუმერლოვი (გდრ) — 210 ქულა (110 და 117 მ), ბოგდან პაპერჟი (პოლონეთი) — 197,5 ქულა (106 და 109 მ). კახაბერ წაქაძე (სსრ კავშირი) — 194,5 ქულა (108 და 107 მ).

„ნახვამდის, გულთბილო მასპინძლებო!“

ამ სიტყვებით გვემშვიდობებიან მადლიერი სტუმრები — თბილისის პირველი საერთაშორისო ფესტივალის მონაწილენი მინიფეხბურთში, რომელთაც მართლაც შესანიშნავი მასპინძლობა გაუწია ჩვენმა დედაქალაქმა. სპორტსმენებისათვის, მითუმეტეს ფეხბურთელებისათვის, ყველაზე მთავარი ხალხმრავალი ტრიბუნებია, და როცა მაყურებელი კარგად ერკვევა თამაშში ეს უკვე ბედნიერებაა მოთამაშისათვის. ამ მხრივ, და არა მარტო მაყურებელთა სიმრავლით, დაამახსოვრა ყველას თავი ტურნირმა, აგრეთვე იმითაც, რომ მონაწილეებმა, რომლებიც თამაშით სარბიელზე დიდად არ ბრწყინავდნენ, კეთილმოსურნე მეგობრები შეიძინეს. ზოგიერთი თავს შინაურულადაც გრძნობდა. ამის მაგალითად ბილბაოელ ქომაგთა დასახელებაც შეიძლება. ამ ჯგუფებმა უფრო სწორად „ტრიომ“, როცა მათმა გუნდმა იმედი გაუცრუა, თბილისურ „ოქროსუბანზე“ გადაინაცვლეს და ისევე გულშემატკივრობდნენ (თავიანთი ეროვნული საკრავებით), როგორც თავისიანებს და ბოლომდე ერთგულობდნენ ქართველ ფეხბურთელებს.

რაც შეეხება გუშინწინდელ ნახევარფინალურ შეხვედრებს, არც ის იყო მოულოდნელობისაგან დაზღვეული. სოხუმისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრა იგულისხმება. სტუმრებს წინა დღეს ბაქოელებთან დამჯერებელი გამარჯვების შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, ფინალში გასვლა თითქოს გარანტირებული ჰქონდათ, მაგრამ მათი წინსვლა სოხუმის გუნდმა შეაჩერა. აფხაზეთის წარმომადგენლებმა დიდი ერთსულოვნებითა და მობილიზებით ითამაშეს და გეთიამ პირველ ტაიმში, ხოლო ობოდინმა შესვენების შემდეგ, მეტოქე აიძულეს ცენტრიდან დაეწყო თამაში — გაიმარჯვეს სოხუმელებმა.

დაძაბულად წარიმართა აგრეთვე თბილისისა და სომხეთის გუნდების ორთაბრძოლა. მასპინძლებმა (დავით გრძელიშვილმა) მხოლოდ თამაშის მიწურულს გაიტანეს გოლი, რამაც მათ ფინალში მონაწილეობის უფლება მოუტანა.

გუშინ ფესტივალის დასკვნით დღეს გამოვლინდნენ პრიზიორები: მატჩი ჩემპიონობისათვის თბილისისა და სოხუმის გუნდებს შორის დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 3:1.

მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა ბულგარეთის გუნდმა, რომელმაც პენალტების სერიით (3:2) სძლია სომხეთის ფეხბურთელებს.

ბ. უნგიაძე

სურათზე: თბილისელთა გუნდს გულშემატკივრობენ ბილბაოელი ქომაგები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

თქვენთვის, აბიტურიენტებო!

ფიზიკურ მომზადებაში საკონტროლო ნორმატივების ჩასაბარებლად გამოყოფილი სპორტული ბაზების ჩამონათვალი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მიხედვით

თბილისი: „ლოკომოტივის“ სტადიონი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; „დინამოს“ სტადიონი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი — თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი; თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონი — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის სტადიონი — საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტი; სტუდქალაქის სტადიონი (ვაკე) — თბილისის სამხატვრო აკადემია, თბილისის სახ. კონსერვატორია, საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი.

სოხუმი: სოხუმის ცენტრალური სტადიონი — აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტადიონი — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

ბათუმი: ბათუმის „დინამოს“ სტადიონი — ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი.

ცხინვალი: ცხინვალის ცენტრალური სტადიონი — სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტი.

ქუთაისი: ქუთაისის „ტორპედოს“ სტადიონი — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

გორი: გორის ცენტრალური სტადიონი — გორის ეკონომიკური ინსტიტუტი.

თელავი: თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტადიონი — თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი.

• • •

თბილისი: „ლოკომოტივის“ სტადიონი — თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი, თბილისის პედასასწავლებელი, თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმი; სტუდქალაქის სტადიონი (ვაკე) — თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი, თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი; სტადიონი „სინათლე“ — თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი, თბილისის სამრეწველო ეკონომიკური ტექნიკუმი.

ბათუმი: ქ. ბათუმის ცენტრალური სტადიონი — ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი, ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმი, ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი.

სოხუმი: ქ. სოხუმის „დინამოს“ სტადიონი — სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი.

ქუთაისი: ქუთაისის ცენტრალური სტადიონი — ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმი, ქუთაისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი.

ლანჩხუთი: ლანჩხუთის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სტადიონი— ლანჩხუთის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი.

საგარეჯო: საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის სტადიონი — საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმი.

კასპი: კასპის ცენტრალური სტადიონი — კასპის ინდუსტრიული ტექნიკუმი.

რუსთავი: რუსთავის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სტადიონი — რუსთავის პოლიტექნიკური ტექნიკუმი.

ტყიბული: ტყიბულის ცენტრალური სტადიონი — ტყიბულის ინდუსტრიული ტექნიკუმი.

ფოთი: ფოთის ცენტრალური სტადიონი — ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი.

ზუგდიდი: ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი — ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმი.

მახარაძე: მახარაძის კვების მრეწველობის ტექნიკუმის სტადიონი — მახარაძის კვების მრეწველობის ტექნიკუმი.

ბორჯომი: ბორჯომის ცენტრალური სტადიონი — ბორჯომის სატყეო ტექნიკუმი.

ქარელი: ქარელის ცენტრალური სტადიონი — ქარელის ელექტრომექანიკური ტექნიკუმი.

ჩხოროწყუ: ჩხოროწყუს ცენტრალური სტადიონი—ჩხოროწყუს მექანიკური ტექნიკუმი.

• • •

დანარჩენ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებზე ბაზების გამოყოფის საკითხებს გადაწყვეტენ შესაბამისი სისტემის სამინისტროები.

დანართი № 1

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა ფიზიკური მომზადების შეფასების ნორმატივები

(ვაჟები)

№	ნორმატივები	შეფასება	ასაკი 16-18წ.	19-27წ.	28-35წ.
1.	რბენა 100 მ.	"3"	15,2	14,8	15,8
		"4"	14,7	14,3	15,3
		"5"	14,2	13,8	14,8
2.	რბენა 1000 მ.	"3"	3,55,0	3,45,0	4,05,0
		"4"	3,45,0	3,35,0	3,55,0
		"5"	3,35,0	3,25,0	3,45,0
3.	ხელების მოხრა-გაშლა წოლებში	"3"	15	18	12
		"4"	20	23	17
		"5"	25	28	22
4.	გურგვა წოლით მდგომარეობიდან წამოჯდომა /ხელები თავს უკან/	"3"	35	40	30
		"4"	45	50	40
		"5"	55	60	50
5.	ცურვა	"3"	25 მ.	25 მ.	25 მ.
		"4"	50 მ.	50 მ.	50 მ.
		"5"	0,55,0	0,52,0	1,00,0

დანართი №2

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სრული საშუალო განათლების ბაზაზე

(ბოგონები)

№	ნორმატივები	შეფასება	ასაკი 16-18	19-27	28-35
1.	რბენა 100 მ.	"3"	18,0	17,6	19,0
		"4"	17,2	16,6	18,5
		"5"	16,3	16,0	18,0
2.	რბენა 500 მ.	"3"	2,30,0	2,25,0	2,40,0
		"4"	2,15,0	2,10,0	2,30,0
		"5"	2,05,0	2,00,0	2,20,0
3.	ხელების მოხრა, გაშლა წოლებში	"3"	7	9	5
		"4"	9	11	7
		"5"	11	13	9
4.	გურგვა წოლით მდგომარეობიდან წამოჯდომა /ხელები თავს უკან/	"3"	20	22	15
		"4"	25	27	20
		"5"	30	32	25
5.	ცურვა	" 3"	25 მ.	25 მ.	25 მ.
		"4"	50 მ.	50 მ.	50 მ.
		"5"	1,15,0	1,20,0	1,30,0

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სრული საშუალო განათლების ბაზაზე

(ვაჟები)

№	ნორმატივები	შეფასება	ასაკი 16-18	19-27	28-35
1.	რბენა 100 მ.	"3"	15,2	14,8	15,8
		"4"	14,7	14,3	15,3
		"5"	14,2	13,8	14,8
2.	რბენა 1000 მ.	"3"	3,55,0	3,45,0	4,05,0
		"4"	3,45,0	3,35,0	3,55,0
		"5"	3,35,0	3,25,0	3,45,0
3.	ხელების მოხრა, გაშლა წოლებში	"3"	15	18	12
		"4"	20	23	17
		"5"	25	28	22
4.	გურგვა წოლით მდგომარეობიდან წამოჯდომა /ხელები თავსუკან/	"3"	35	40	30
		"4"	45	50	40
		"5"	55	60	50
5.	ცურვა	"3"	25 მ.	25 მ.	25 მ.
		"4"	50 მ.	50 მ.	50 მ.
		"5"	0,55,0	0,52,0	1,00,0



უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა ფიზიკური მომზადების შეფასების ნორმატივები

(ბოგონები)

№	ნორმატივები	შეფასება	ასაკი 16-18წ.	19-27წ.	28-35წ.
1.	რბენა	"3"	18,0	17,6	19,0
		"4"	17,2	16,6	18,5
		"5"	16,3	16,0	18,0
2.	რბენა 500 მ.	"3"	2,30,0	2,25,0	2,40,0
		"4"	2,15,0	2,10,0	2,30,0
		"5"	2,05,0	2,00,0	2,20,0
3.	ხელების მოხრა-გაშლა წოლებში	"3"	7	9	5
		"4"	9	11	7
		"5"	11	13	9
4.	გურგვა წოლით მდგომარეობიდან წამოჯდომა /ხელები თავის უკან/	"3"	20	22	15
		"4"	25	27	20
		"5"	30	32	25
5.	ცურვა	"3"	25 მ.	25 მ.	25 მ.
		"4"	50 მ.	50 მ.	50 მ.
		"5"	1,15,0	1,20,0	1,30,0

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში არასრული საშუალო განათლების ბაზაზე

(ვაჟები)

№	ნორმატივები	შეფასება	ასაკი 15-16 წ.	17 და მეტით
1.	რბენა 100 მ.	"3"	15,5	15,2
		"4"	15,0	14,7
		"5"	14,5	14,2
2.	რბენა 1000 მ.	"3"	4,00,0	3,55,0
		"4"	3,55,0	3,45,0
		"5"	3,50,0	3,30,0
3.	ხელების მოხრა, გაშლა წოლებში	"3"	8	15
		"4"	10	20
		"5"	12	25
4.	მუცლი, წინმკლავი	"3"	35	35
		"4"	40	40
		"5"	45	45
5.	ცურვა	"3"	25 მ.	25 მ.
		"4"	50 მ.	50 მ.
		"5"	1,05,0	1,00,0

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში არასრული საშუალო განათლების ბაზაზე

(ბოგონები)

№	ნორმატივები	შეფასება	ასაკი 15-16 წ.	17 და მეტით
1.	რბენა 100 მ.	"3"	18,0	19,0
		"4"	17,5	18,0
		"5"	16,5	18,5
2.	რბენა 500 მ.	"3"	2,09,0	2,00,0
		"4"	2,00,0	1,55,0
		"5"	1,55,0	1,50,0
3.	გურგვა წოლით მდგომარეობიდან წამოჯდომა /ხელები თავს უკან/	"3"	15	20
		"4"	20	25
		"5"	25	30
4.	მუცლი, წინმკლავი	"3"	25	30
		"4"	30	35
		"5"	35	40
5.	ცურვა	"3"	25 მ.	25 მ.
		"4"	50 მ.	50 მ.
		"5"	1,25,0	1,22,0





საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) 2:2 (2:1).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 11 მარტი.

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, თეთრაძე, თედეევი, ჯიშკარიანი, ფანცულაია, ცაავა, კაჭარავა, გოგიჩაიშვილი (ქეცბაია, 46).

კიევი: ჩანოვი, ლუჟნი, ბალო, კუზნეცოვი, დემიანენკო, რაცი, მიხაილიჩენკო, ლიტოვჩენკო, იარმჩუკი (იაკოვენკო, 75), პროტასოვი, სტელმახი (გორილი, 72).

მსაჯი ს. ჰუსაინოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს გორილი.

დაიწყო თამაში. პირველ 20-25 წუთს, სიმართლე რომ ვთქვათ, გაწბილების მეტი არაფერი მოუტანია მაყურებლისთვის. ორივე გუნდი საკმაოდ უსისტემოდ თამაშობდა, ფეხბურთელებს ზომაზე მეტად მოსდიოდათ ელემენტარული შეცდომები, უზუსტო გადაცემების გამო თითქმის არც ერთი ხეირიანი კომბინაცია არ გათამაშებულა.

მაგრამ ფეხბურთელები თანდათან შევიდნენ „როლში“ და ტაიმის დასასრულს მინდორზე უკვე უკომპრომისო, დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა.

პირველი გოლი მე-13 წუთზე გაიტანა ლიტოვჩენკომ: მან მარცხენა ფლანგიდან მიაწოდა კუთხური, ბურთმა რკალი შემოხაზა. მასპინძელთა მცველებმა ვერ შეძლეს მისი მოგერიება და ანგარიშიც გაიხსნა.

გაშვებულმა გოლმა თბილისელთა თამაში საგრძნობლად შეცვალა, გუნდი მთელი სიძლიერით, სწრაფად ამოქმედდა და კიეველთა კარში გატანილი იქნა ორი გოლი, ორივე მათგანზე შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მაღალი ოსტატობის შედეგი: ჯერ 30-ე წუთზე ჯიშკარიანმა შორი მანძილიდან მაღალ კუთხეში დაარტყა და ჩანოვი უძლური იყო რამე მოემოქმედა, მერე კი 42-ე წუთზე ცაავამ მარცხენა მხრიდან ინდივიდუალური გარღვევა შეასრულა, მარჯვნივ მიაწოდა, აქ მისმა პარტნიორმა ბურთი ფეხქვეშ გაატარა, საჯარიმო მოედანში მას მიუსწრო თედეევმა და ძალზე ეფექტური გოლი გაიტანა — 2:1.

ტაიმის დასასრული უკვე ნამდვილი მაღალი კლასის ფეხბურთით აღინიშნა, მაგრამ შესვენების შემდეგ თამაში კიდევ უფრო საინტერესო გახდა, ინიციატივას დაჯერებულად ფლობდნენ თბილისელები, რომლებიც ბევრს მოძრაობდნენ, ადრინდელთან შედარებით გაცილებით უკეთ ასრულებდნენ გადაცემებს და ამ კომბინაციური იერიშების წინააღმდეგ კიეველთა გუნდი თითქმის მთელი ტაიმი პასიური მომგერიებლის როლში აღმოჩნდა. აღსანიშნავია ქეცბაიას აქტიური, ინიციატივიანი თამაში, იგი კარგად ჩაერთო ბრძოლაში და, საერთოდ, მთელი გუნდი მონდომებით, ენერგიულად, მოქმედებდა.

ამ მეტად მნიშვნელოვანი მატჩის მოგება თბილისის „დინამოს“ თითქმის უკვე გარანტირებული ჰქონდა, მსაჯის საფინალო სასტვენამდე სულ რაღაც წუთი თუ იყო დარჩენილი, მაგრამ მატჩის ფინიშზე კიეველებმა მთელი თავიანთი შესაძლებლობით ითამაშეს და მოპირდაპირე კართან შექმნილ არეულობაში რაცმა შეძლო კიდეც იმ გოლის - გატანა, რომელმაც კიევის „დინამოს“ ფრე მოუტანა —2:2.

ჩემპიონატის პირველ მატჩში თბილისის „დინამომ“ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, გუნდმა განსაკუთრებით კარგად ჩაატარა თამაშის მეორე ნახევარი.

• • •

გუშინვე ა. ჟორდანიას სახელობის თბილისის „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა. გაიმარჯვეს კიეველებმა — 1:0.

თბილისის „დინამოს“ დუბლიორებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ჭანტურია, დიმიტრიშვილი (გოგოლაძე), ცვეიბა, მაჭავარიანი, თევზაძე, ხურცილავა, აფციაური, ჯამარაული (ტუღუში), კერძეფაძე, ნემსაძე, ბაკურაძე.

თბილისის „დინამო“

(ჩემპიონატის განაცხადი)

გუნდის უფროსი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ გუცაევი.

მთავარი მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით ყიფიანი.

მწვრთნელები — სპორტის დამსახურებული ოსტატი მურთაზ ხურცილავა, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნოდარ აკობია, ირაკლი გორგოშიძე.

მეკარეები — ო. გაბელია (დაბად. 1953 წელს), ზ. ხაპოვი (1964), გ. ჭანტურია (1964).

მცველები — მ. არზიანი (1964), ს. გოგოლაძე (1969), თ. დიმიტრიშვილი (1971), გ. კეტაშვილი (1965), მ. მაჭავარიანი (1970), გ. ნემსაძე (1972), ს. თარბა (1968), ო. თეთრაძე (1969), ა. ცვეიბა (1966), კ. ცხადაძე (1968), ს. ჭედია (1965).

ნახევარმცველები — მ. აფციაური (1969), ზ. ბაკურაძე (1968), გ. ჯიშკარიანი (1967), რ. კერძეფაძე (1971), კ. კაჭარავა (1966), დ. პეტრიაშვილი (1969), ზ. რევიშვილი (1968), ზ. სვანაძე (1958), მ. თევზაძე (1964), გ. ხურცილავა (1971).

თავდამსხმელები — რ. არველაძე (1969), კ. გოგიჩაიშვილი (1968), გ. ჯამარაული (1971), დ. ზაიკიძე (1971), მ. ყაველაშვილი (1971), თ. ქეცბაია (1968), დ. ყიზილაშვილი (1961), მ. ფანცულაია (1968), ბ. თედეევი (1969), ზ. ხორგუაშვილი (1970), გ. ცაავა (1962).

სხვა მატჩები

„პამირი“ — „როტორი“ 1:1

„დნეპრი“ — „მეტალისტი“ 2:0

„ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ 1:1

„შახტიორი“ — „ლოკომოტივი“ 1:0

„არარატი“ — „დინამო“ მნ. 1:0

კვირიდან კვირამდე

„პრავდა“—6 მარტი. „არ არის ყველასათვის ხელმისაწვდომი“. როგორ მოხდა, რომ ფიზიკური კულტურა ყოველმხრივ შეავიწროვა დიდმა სპორტმა?

„იზვესტია“ — 7 მარტი. „მწამს ფეხბურთის ნათელი დღისა“. „რა თქმა უნდა, შეცდომებისგან დაზღვეული არა ვართ, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის მომავალი ნათელ ფერებში მესახება“ — ამბობს სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევ იაშინი.

„ტრუდი“ — 11 მარტი. „იმედების სეზონი“. იწყება ახალი, 52-ე საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში.

„სოვეტსკი სპორტი“ — 5 მარტი. „ბობი ფიშერის კვალდაკვალ“. შვეიცარიელი ჟურნალისტის თავგადასავალზე მოგვითხრობს ჩეხური ჟურნალი „სტადიონი“.

7 მარტი. „არარსებული უფსკრულის მიღმა“. ინტერვიუ ბულგარელ კალათბურთელთან გიორგი გლუშკოვთან, რომელიც ძალზე ახლოს იცნობს პროფესიონალურ კალათბურთს.

8 მარტი. „ქალი დიდი საიდუმლოებაა“. ნაწყვეტი ცნობილი ექსტრასენსის ჯუნა დავითაშვილის წიგნიდან.

11 მარტი. „სუსტი კლუბები — ძლიერი ნაკრებები?“ საბჭოთა საფეხბურთო კლუბები სუსტად ასპარეზობენ საერთაშორისო ასპარეზზე, ნაკრებები კი პირიქით, წარმატებით. ამ თემაზე საუბრობენ წამყვანი კლუბების მწვრთნელები.

დიმიტრი იოსელიანი

საბჭოთა ფიზკულტურულმა მოძრაობამ დიდი დანაკლისი განიცადა.—ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1940 წლიდან, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, დიდი სამამულო ომისა და პარტიზანული მოძრაობის ვეტერანი, პროფესორი დიმიტრი მელიტონის ძე იოსელიანი.

დ. იოსელიანი დაიბადა 1913 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათში. 1938 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო 1949 წელს — მოსკოვის ცენტრალური ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. 1935 წლიდან ხელმძღვანელობდა სპორტულ საზოგადოება „ნაუკას“ ჯერ რესპუბლიკურ, შემდეგ საკავშირო საბჭოს.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე დ. იოსელიანი მოხალისედ წავიდა ფრონტზე პროლეტარული დივიზიის შემადგენლობაში. 1941 წლის 27 ივლისს ქ. ბორისოვის მიხადგომებთან მძიმედ დაჭრილი იგი ტყვედ ჩავარდა, საიდანაც მალე გაიქცა და ბრძოლას განაგრძობდა 277-ე პარტიზანული რაზმის შემადგენლობაში.

1945-1952 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დირექტორად. აქ მან დიდი ღვაწლი დასდო ფიზიკური კულტურისა და სპორტისათვის კადრების მომზადებას, მისი უშუალო თაოსნობით შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში პირველი ოლიმპიური რეზერვების მძლეოსნური სპეციალიზებული სკოლა. 1952 წლიდან იმავე ინსტიტუტში ჯერ მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელია, 1956 წლიდან კი კათედრის გამგე. 1982 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მუშაობდა ამავე კათედრის პროფესორად.

დ. იოსელიანი იყო გამოჩენილი სპორტსმენი, მძლეოსნობაში ამეირკავკასიისა და საკავშირო შეჯიბრებების მრავალგზის გამარჯვებული, 1936 წელს მან დაამყარა მსოფლიო რეკორდი. მას, ერთ-ერთ პირველს ჩვენს ქვეყანაში, მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

დიდ სამამულო ომში პარტიზანულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის და სპორტული მიღწევებისათვის დ. იოსელიანი დაჯილდოებული იყო ლენინის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით. სიცოცხლის ბოლომდე იგი სათავეში ედგა თბილისის ომის ვეტერანთა საბჭოს პარტიზანთა სექციას.

დიმიტრი იოსელიანის, კომუნისტისა და მოქალაქის სახელი დარჩება ქართველი საზოგადოებრიობის ხსოვნაში.

ჯ. ი. პატიაშვილი, ბ. ნ. ენუქიძე, ნ. ა. ფოფხაძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ვ. მ. სირაძე, ვ. ბ. ლორთქიფანიძე, ს. ი. ბოგიბერიძე, ნ. შ. ენდელაძე, ბ. ბ. ბამყრელიძე, ნ. ტ. ბაფრინდაშვილი, თ. თ. ბაჩიჩილაძე, ო. ბ. ბოგიაშვილი, ე. ს. ბოკიელი, ო. ნ. დიდებულიძე, ლ. ქ. თედიაშვილი, შ. დ. კიკნაძე, ა. ს. მეიფარიანი, ბ. ს. პაიჭაძე, დ. ა. პერტენავა, ვ. დ. სანეევი, რ. მ. შავლაყაძე, ვ. დ. შუბლაძე.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში ● I ლიგა

ორჯერ მინიმალური სხვაობით

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა თბილისში პირველი ლიგის საკავშირო პირველობის კიდევ ორი მატჩი გამართა. ამჯერად იგი გორკის „შრომით რეზერვებს“ მასპინძლობდა, გუნდს, რომელიც საკმაოდ კარგად თამაშობს დაცვაში, გამოირჩევა ბრძოლისუნარიანობით და აქტიური თავდასხმით. ამდენად ორი გამარჯვება, რომელიც თბილისელმა კალათბურთელებმა მოიპოვეს, უდავოდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

პირველი მატჩი სტუმრებმა ეფექტურად დაიწყეს, მაგრამ მერე, 8 წუთის განმავლობაში ქულის აღებაც ვერ შეძლეს. ეს მონაკვეთი თბილისელებმა 20 ქულით (20:0) მოიგეს. მაგრამ შემდგომში „შრომითმა რეზერვებმა“ გამოასწორა მდგომარეობა და ტაიმი 1 ქულით დათმო — 34:35. მეორე ნახევარი ცვალებადი უპირატესობით აღინიშნა. თბილისელებმა გაიმარჯვეს 78:76. მატჩის საუკეთესო სნაიპერები იყვნენ მ. მხეიძე (24 ქულა) და ო. შულეიკინა (25).

განმეორებითი შეხვედრა უფრო თანაბარი ბრძოლით აღინიშნა და კვლავ საქართველოს კალათბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა—99:97. მ. მხეიძემ თავის კოლექტივს 37 ქულა შესძინა. სტუმრებში კი საუკეთესო ბომბარდირი კვლავ შულეიკინა იყო — 22 ქულა.

გალისის 45 ქულა

გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მე-12 ტურის მატჩები. მოსკოვის ცსკა ამჯერად ტელავივში თამაშობდა ადგილობრივ „მაკაბისთან“. გამარჯვება მასპინძლებს ხვდათ წილად 94:90 (50:50). საინტერესოა აღინიშნოს, რომ მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ანგარიში თანაბარი იყო (84:84), მაგრამ „მაკაბის“ კალათბურთელებმა ბოლო წუთები უკეთ ჩაატარეს.

მოსკოველთაგან თავი გამოიჩინეს ბერეჟნოიმ (23 ქულა), გორინმა (15) და მიგლინიეკსმა (14). გამარჯვებულთა შორის კი ამერიკელმა მაგიმ — 29.

სალონიკში საბერძნეთის „არისმა“ იუგოსლავიის „იუგოპლასტიკა“ დამარცხა — 96:85 (54:45). ბერძნების საუკეთესო სნაიპერმა გალისმა თავის კლუბს 45 ქულა შესძინა.

ტურის სხვა მატჩები დამთავრდა ასე: „ნაშუა დენ ბოში“ (ჰოლანდია) — „სკავოლინი“ (იტალია) 94:69 (55:32), „ლიმოჟი“ (საფრანგეთი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 104:101 (56:60).

გათამაშების ცხრილი

„მაკაბი“	12	10	2	22
„ბარსელონა“	12	9	3	21
„არისი“	12	8	4	20
„იუგოპლასტიკა“	12	7	5	19
„ლიმოჟი“	12	5	7	17
„სკავოლინი“	12	4	8	16
ცსკა	12	3	9	15
„ნაშუა დენ ბოში“	12	2	10	14

ნახევარფინალამდე ორი ტურიღა დარჩა. შემდგომი ბრძოლის უფლება მიენიჭოდეს „მაკაბმა“, „ბარსელონამ“ და „არისმა“, გათამაშების გადამწყვეტი ეტაპი ჩატარდება მიუნხენში 4-6 აპრილს.

დაწინაურდა ეკატერინე ფახიროვა

გაიმართა მოჭადრაკე ქალთა 45-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის VI და VII ტურების შეხვედრები.

VI ტურში თანხვბარ ბრძოლაში წარიმართა ხუგაშვილ-ჯანჯღავას პარტია, მაგრამ ხუგაშვილი მძაფრ ციტნოტში მოექცა, ალამი ჩამოუვარდა და წაგება ჩაეთვალა. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: მერეკლიშვილი-თვაური 0:1, ალიხანაშვილი-სადუნიშვილი — 0:1, ეძგვერაძე-ფახიროვა — 0:1, კობაიძე-კურცხალია — 0,5:0,5 თანდაშვილი-მესხი — 0,5:0,5, მელაშვილი-ხურციძე —0,5:0,5, ტერელაძე-ლაგვილავა — 0,5:0,5, ჩაიკოვსკაია-ქასოშვილი — 0,5:0.5.

VII ტურში ზედიზედ მეექვსე გამარჯვება იზეიმა ქუთაისელმა ოსტატობის კანდიდატმა ეკატერინე ფახიროვამ. ამჯერად მან სამტრედიელი ოსტატი სოფიკო ტერელაძე დაამარცხა. ნათია ჯანჯღავამ სძლია ალა ჩაიკოვსკაიას. დანარჩენი პარტიების შეხვედრები ასეთია: სადუნიშვილი-ეძგვერაძე — 1:0, ლაგვილავა-ხუგაშვილი — 0,5:0,5, მესხი-მელაშვილი — 0,5:0,5, გადაიდი თვაური-ალიხანაშვილისა და კურცხალია-თანდაშვილის პარტიები, ხოლო ქასოშვილი-კობაიძისა და ხურციძე-მერეკლიშვილის შეხვედრები გადატანილია.

შედგა გადადებული პარტიების დამთავრება: **I ტური:** ქასოშვილი-მერეკლიშვილი — 1:0, **II ტური:** კურცხალია-სადუნიშვილი — 0,5:0,5, ტერელაძე-ხუგაშვილი 0,5:0,5, მელაშვილი-ლაგვილავა 0,5:0,5, **III ტური:** ფახიროვა-მელაშვილი — 1:0, სადუნიშვილი-თანდაშვილი — 0:1, **IV ტური:** ხუგაშვილი-ჩაიკოვსკაია — 0,5:0,5, **V ტური:** ქასოშვილი-ხუგაშვილი — 1:0, სადუნიშვილი-მერეკლიშვილი — 1:0.

7 ტურის შემდეგ 6 ქულით შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა ქუთაისელი ოსტატობის კანდიდატი ეკატერინე ფახიროვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ნათია ჯანჯღავა.

თამარ ხმაიდაშვილი.

ხელეხვაჭა-ჭაბუკელი



გლაზგო. შოტლანდიის დედაქალაქში მიმდინარეობს მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მონაწილეობით. ვაჟთა ესტაფეტაში 4X400 მ. ამერიკელმა მძლეოსნებმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს — 3.05,21.

მეხიკო. საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს ამ ქალაქის ტრადიციული თასი თანამედროვე ხუთჭიდში. ინდივიდუალურ ჩათვლაში უძლიერესი ანდრეი სმირნოვი იყო — 5586 ქულა. მან 110 ქულით გაუსწრო. მეორე ადგილზე გასულ ანატოლი სტაროსტინს. მესამე ადგილიც საბჭოთა ხუთჭიდელს ალექსანდრე პოდდუბნის ხვდა — 5173 ქულა.

მხარს უჭერს ჯორჯ ბუში

როგორც ცნობილია, 1996 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის ვინაობა გაირკვევა გაისად სექტემბერში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ტოკიოს სესიაზე. პრეტენზიას დღეისათვის იქესი ქალაქი აცხადებს: ათენი (საბერძნეთი), ატლანტა (აშშ), მანჩესტერი (ინგლისი), ტორონტო (კანადა), ბელგრადი (იუგოსლავია) და მელბურნი (ავსტრალია).

მომმხილველები ამ კანდიდატთა შორის ერთგვარ უპირატესობას ათენს ანიჭებენ, ვინაიდან 1996 წელს თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებს 100 წელი შეუსრულდება და საბერძნეთის დედაქალაქი ამ თარიღს ზეიმით აღნიშნავს. მაგრამ ეს გახლავთ საკითხის, ასე ვთქვათ ემოციური მხარე, ოლიმპიადის ორგანიზაცია, რფგორც ცნობილია, დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ყველა ქვეყანა მას ალბათ ვერც გაუძლებს.

ამ მხრივ ყველაზე ხელსაყრელ მდგომარეობაში ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქი ატლანტა გახლავთ. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ბილი პეინის განცხადებით, ატლანტას არც ერთი კონკურენტის არ ეშინია, მაგრამ თუ ათენი მაინც გაიმარჯვებს, ამ კანდიდატურას არ მოვხსნით, ვიდრე მიზანს არ მივაღწევთ. პეინი ხაზს უსვამს ერთ არსებით გარემოებას, რომელმაც არჩევნების დროს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს: ატლანტას აქვს უამრავი კეთილმოწყობილი სასტუმრო, სპორტული დარბაზი და სტადიონი, შესანიშნავი ინფრასტრუქტურა და ტურისტული ბიზნესის გამოცდილება.

მაგრამ ატლანტელთა მთავარი კოზირი მაინც ის გახლავთ, რომ ქალაქის კანდიდატურას მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში.

ამას წინათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩთან შეხვედრაზე ბუშმა განაცხადა: „დიდი სურვილი მაქვს ვნახო ოლიმპიადა შტატებში, ატლანტა კი საამისოდ ყველაზე ღირსეულ კანდიდატად მიმაჩნია“.

ამ საკითხში პოზიტიურ პოზიციაზე დგას თვით სამარანჩიც:

— ქალაქის დეტალური გაცნობისას დავრწმუნდი, რომ სპორტი აქ უყვართ და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს.

საჭადრაკო კომბინაცია

რთული ჭანრი

„ჩვენ გვსმენია, რომ საჭადრაკო ეტიუდი ამოცანებისაგან არსებითად განსხვავებული და რთული დარგია და რომ კომპოზიციის ამ სახეში ქართველ საჭადრაკო კომპოზიტორებს დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული. გთხოვთ, უფრო დაწვრილებით მოგვითხროთ საეტიუდო ხელოვნების შესახებ“. (თბილისელი მკითხველები: გ. ნიუარაძე, გ. ხომერიკი).

ეტიუდის სათავეები ჭადრაკის სწავლებისათვის განკუთვნილი მაგალითების შედგენიდან მომდინარეობს. შუასაუკუნეების პერიოდის ამ ეტიუდამდელ ნაწარმოებებს, რომლებიც ლიტერატურულმა ძეგლებმა შემოგვინახეს, მანსუბებს უწოდებენ. მართალია, საჭადრაკო პარტიასთან (და არა დაბოლოებასთან!) მიმსგავსების მიზნით მათ უმრავლესობაში ძალთა ეკონომიურობის პრინციპი უგულებელყოფილია, მაგრამ ზოგიერთი მათგანი თანამედროვე ეტიუდთან გარკვეულ შინაარსობრივ სიახლოვეს ამჟღავნებს. თვით ეტიუდის საკომპოზიციო დარგად ჩასახვა და მისი სახელწოდება კი უშუალოდ არის დაკავშირებული გერმანელი მოჭადრაკეების იოზეფ კლინგისა (1811-1876) და ბერნგარდ ჰორვიცის (1807-1885) სახელებთან, რომლებსაც „საჭადრაკო ეტიუდის პაპებს“ ეძახიან. მათი ინგლისში ცხოვრების ხანა და აქტიური ურთიერთთანაშრომლობა დაგვირგვინდა კოლექტიური ეტიუდების კრებულით, რომელიც 1851 წელს (ეტიუდის ფორმალური დაბადების თარიღი!) ლონდონში გამოიცა. მათ მიერ შეთხზული ხელოვნური პოზიციები, რომლებიც ერთადერთი და ხშირად უჩვეულო გზით იხსნებოდა, მოჭადრაკეთა „ჭკუის სასწავლ“ ენდშპილებად იქცა. ამ წიგნმა, რომელიც დაბრლოებების გათამაშებისათვის საინტერესო და ადრე უცნობ ტაქტიკურ ხერხებს შეიცავდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საჭადრაკო სამყაროზე და გარკვეული ბიძგი მისცა ეტიუდის, როგორც დამოუკიდებელი საკომპოზიციო ჟანრის განვითარებას.

მაგრამ XIX საუკუნის დამლევამდე ეტიუდის „სპარადო ფასადი“ — გონებამახვილური კომბინაცია ერთგვარად შიჩქმალული იყო და მათი უმრავლესობა საცნობარო ხასიათის მაგალითებად და ანალიზურ სავარჯიშოებად რჩებოდა. მხოლოდ ა. ტროიცკის და შემდეგ ვ. და მ. პლატოვების, ა. რინკის, ლ. კუბელის და ი. ზევერსის ნაწარმოებებში თვალნათლივ გამოჩნდა ის მხატვრული ელემენტები და საოცარი ფანტაზიის ნიმუშები, რამაც ეტიუდი საჭადრაკო ხელოვნების თანამედროვე და ლამაზ დარგად აქცია.

ა. ტროიცკი, 1897



მოგება

დიაგრამაზე აღბეჭდილი პოზიცია იმდენად ბუნებრივია, რომ გადადებულ პარტიას გვაგონებს, სადაც თეთრებმა თითქოს „საიდუმლო“ სვლა ჩაიწერეს. თუ ამოცანაში თეთრებმა განსაზღვრული რაოდენობის სვლებში მეფე უნდა დაამამათონ, ეტიუდის დავალება — „მოგება“, ნიშნავს, რომ თეთრები იწყებენ და იგებენ (რასაკვირველია, მხოლოდ ერთადერთი და არც თუ აშკარა გზით, რომელიც ორივე მხარის უძლიერეს სვლებს ითვალისწინებს). არსებობს საყაიმო ეტიუდებიც, რომლის ფინალი აშკარა საყაიმო მდგომარეობას უნდა შეიცავდეს. ამასთან, ამოცანისაგან განსხვავებით, ეტიუდში თამაშის ჭიშით დაწყება „ცუდ ტონად“ არ ითვლება. 1.ეb7+! ეტლის შეწირვა, რომლის მიღება ლაზიერის დაკარგვას იწვევს. ამიტომ **1....მფc6 2.მd8+ მფd5** (კვლავ ერთადერთი სვლა) **3. ეd7+! მფ:e5** (არ ვარგა 3....მფe4 და პაიკის ჩანგალი 4.d3+ იგებს) 4.f4+! ლ:f4 (ეს უკეთესია, ვინაიდან თუ 4...მფ:f4, მაშინ 5.ეd4+! ლ:d4 6.მ:e6+ მოგებით, ან 4....მფf6 5.ეf7X). თეთრების კომბინაციური თამაში თითქოს ამოიწურა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათი სწრაფვა მოგებისაკენ მირაჟი აღმოჩნდა. მაგრამ ისინი პოულობენ ნამდვილ „ეტიუდურ“ სვლას —**5.ეd4!** და იქმნება საოცრად ლამაზი და შავებისათვის უიმედო ვითარება — ლაზიერის „გასაქცევი“ გზა მოჭრილია **(5...ლf6 6.მc6X)** და იგი იკარგება: **5. ...ლf8 6. მc6+ მფf6 7. ეf4+**, რომლის შემდეგაც თეთრები იგებენ.

ეს მაგალითი, სადაც მთავარი ვარიანტი (ანუ ავტორის იდეური ჩანაფიქრი)შავი შრიფტით არის აწყობილი, საკმაოდ ნათლად გადმოსცემს ეტიუდის, როგორც საჭადრაკო მხატვრული ქმნილების არსს, რომელიც მისმა ავტორმა — ა. ტროიცკიმ თეორიულად ირწმუნა [illegible] ნიაზრა.

— [illegible] ეტიუდს ერეკ[illegible] თანაგრძნობა [illegible] ები, შედგენილი ცნობილი ქართველი ეტიუდისტის მიერ.

ვ.კალანდაძე, 1966



მოგება

იგი წინა ეტიუდივით გადადებულ პარტიას გვაგონებს. იმედია, შეეცდებით მის ამოხსნას, რომელიც მართალია, ფორსირებულ, მაგრამ ლამაზ თამაშს შეიცავს და ეფექტური ფინალით მთავრდება. შეგახსენებთ, რომ ეტიუდის ამოხსნა საკმაოდ რთული შემოქმედებითი პროცესია, და გარკვეული პრაქტიკული ძალა სჭირდება. ამომხსნელი უნდა ერკვეოდეს დაბოლოებებში და, ამასთან, ახსოვდეს, რომ ზოგიერთი ძნელი სვლა ერთი შეხედვით „აბსურდულად“ გამოიყურება და მას მიგნება უნდა. ერთი სიტყვით, ეტიუდის ამომხსნელს სათანადო განწყობა, გააზრებულობა, აუჩქარებლობა და აზარტიც მოეთხოვება. სამაგიეროდ, განუზომელია ის სიამოვნება, რასაც იგი მიიღებს ავტორისეული ჩანაფიქრის აღმოჩენისას. ვინც ეტიუდს ხსნის, მისი სათამაშო კლასი მაღალია!

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

ამოხსნა

„ლელოს“ 18 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი ვ. ქარსელაძის ორსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ლh8! ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: რ. კახიძე (ბათუმი), გ. ელიოსიძე (ბორჯომი), ზ. ბადურაშვილი (სოფ. საკაძე, გარდაბნის რ.), ზ. ქველიაშვილი, მ. ყაულაშვილი (ორივე — რუსთავი), დ. ხაჩიძე, ა. და ე. ღირსიაშვილები, დ. უძგვერაძე, კ. არახამია, ა. მიშველაძე, ო. მამულაშვილი (ყველა — თბილისი).

მოჰამედ ალი კვლავ გამოჩნდა

პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონზე მოჰამედ ალიზე დღეს ათასგვარ ლეგენდას თხზავენ, ამას წინათ ალიმ, რომელიც ხუთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა სენეგალში, აღნიშნა, რომ ყველაფერი მოგონილი და ჭორია, რაც მის ჯანმრთელობას შეეხება.

— ამერიკის პრეზიდენტ მე კარგა ხანია ჩამომწერა და მომაკვდავთა შორის გამომიყო ადგილი, მაგრამ, როგორც ხედავთ, ჯანმრთელად ვარ. ჩემს ირგვლივ ატეხილი არაჯანსაღი აჟიოტაჟი ისლამის მტრების საქმეა.

ჟურნალისტებთან საუბარში მან თქვა, რომ ამჟამად ეძებს ქვეყანას, სადაც წელიწადში ექვს თვეს მაინც იცხოვრებდა. სენეგალი, მისი აზრით, საკმაოდ მომხიბვლავი კანდიდატურაა.

— რამდენიმე დღე დავყავი სენეგალში და დავრწმუნდი, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრება შეიძლება. ჩემთვის მთავარია, რომ სენეგალელთა დიდი უმრავლესობა რელიგიის ერთგული მსაზურები არიან. ალბათ სულ მალე ოჯახთან ერთად საცხოვრებლად აქ გადმოვალ.

ყოფილ ჩემპიონს გადაწყვეტილი აქვს მთელი თავისი კაპიტალი სენეგალში დაბანდოს. ამ მიზნით იგი მოელაპარაკა ფინანსისტებსა და ტურიზმის მესვეურებს.

ერთი გასროლის ფასი

ეს მართლაც საუკუნის სკანდალი იყო, რომელმაც მთელი სპორტული სამყარო შეძრა: ჩვენი პლანეტის ყველაზე სწრაფი ადამიანი, მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი 100 მეტრზე რბენაში, კანადელი ბენ ჯონსონი სეულის ოლიმპიადაზე ამხილეს დოპინგის მიღებაში! ძიების პროცესში ბევრი ახალი ფაქტი გამოირკვა, ზოგიც არ დადასტურდა, მაგრამ ჯონსონმა თავი ვერ იმართლა და „საუკუნის ყველაზე სენსაციურ დამნაშავედ“ დარჩა.

მსოფლიოს ექსრეკორდმენი და ჩემპიონი ერთხანს ჟურნალისტთა თვალთახედვიდან გაქრა, მაგრამ კარჩაკეტილ ცხოვრებას, როგორც ჩანს, ვერ გაუძლო და ისევ... ხალხში გამოვიდა. ამ დღეებში იგი იხილეს სან-სებასტიანის ველოდრომ „ანუეტაზე“ ექვსდღიანი რბოლის სტარტზე. ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებ, ცხადია, ვერ მიიღებდა, ვინაიდან ველოსიპედისტი არ არის. მან უბრალოდ ექვსდღიან ველორბოლას სტარტი მისცა და... ისევ მიიმალა.

ორგანიზატორებს ჯონსონის გვარი მხოლოდ რეკლამისთვის სჭირდებოდათ, მაგრამ რამდენი მიიღო ექსჩემპიონმა ერთადერთი გასროლისთვის, კაცმა არ იცის. ესპანეთის სპორტული გაზეთის „მარკას“ მიმომხილველი ფიქრობს, რომ ჯონსონს 2,5 მილიონი პესეტი გადაუხადეს (21 ათასი დოლარი), მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, სხვათა შორის, მეორე ვერსიით კანადელმა სპრინტერმა ამ უმნიშვნელო სამსახურისთვის ჯიბეში 48 ათასი დოლარი ჩაიდო...

ჟურნალისტთა ერთმა ჯგუფმა მაინც მიაგნო ჯონსონს და სახელდახელო ინტერვიუ ჩამოართვა:

— წვრთნა ერთი წუთითაც არ შემიწყვეტია, იმიტომ რომ დარწმუნებული ვარ ისევ დავუბრუნდები სარბიელს და შევხვდები ჯარლ ლუისს.

— შეგნებულად დოპინგი არასდროს არ მიმიღია, მაგრამ დანაშაულს, რომელიც ჩემთან ერთად ბარე ხუთმა კაცმა უნდა გაიზიარონს, მაინც ვაღიარებ.

— ჩემი დისკვალიფიკაციის ვადა ორ წელიწადში გავა. ბარსელონის ოლიმპიადაზე უსათუოდ გამოვალ, რათა დავამტკიცო, რომ 9,83 წამი არ არის ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარი (ჯონსონის ეს მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე რბენაში სამოყვარულო მძლეოსნობის ფედერაციას არ გაუუქმებია).

„სპორტპროგნოზი“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მე-10 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 4-5 მარტს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3121552 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (18) მოგება 2601 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (336) 278 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (4318) — 75 მანეთი.

• • •

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალურ მატჩებზე შედგენილი პირველი სპეციტირაჟის შედეგები, რომლებიც 1989 წლის 1 მარტს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 2671008 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (2) მოგება 10000 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (32) — 2504 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (509) — 590 მანეთი.

მე-10 და სპეციალური ტირაჟების მოგებები გაიცემა 1989 წლის 25 მარტიდან 25 აპრილის ჩათვლით.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, აბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე- 07138